ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
13 აპრილი
1955 წელი
№ 30 (836)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

სპორტსმენთა იდეური აღზრდის მძლავრი საშუალება

საბჭოთა კავშირის მწერალთა მე-2 ყრილობამ მხატვრული სიტყვის ოსტატებს დაუსახა სერიოზული ამოცანა — უფრო ღრმად ჩასწვდნენ სინამდვილეს, მაღალ მხატვრულ ფორმებში ასახონ ის გიგანტური ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა ადამიანები აწარმოებენ კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მწერლების მადლიანი კალამი უნდა შეეხოს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს და მათ შორის რასაკვირველია, სპორტსაც.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? პირდაპირ უნდა ითქვას—ცუდი. ჩვენი მწერლები გაურბიან სპორტულ თემას, წერენ საწარმოს, კოლმეურნეობის ცხოვრებიდან, ინტელიგენციაზე, მაგრამ სპორტზე კი არა. და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა სპორტმა სახელი გაითქვა მთელს მსოფლიოში, როცა საბჭოთა სპორტსმენების გამოჩენა საერთაშორისო სარბიელზე აღტაცებას იწვევს მაყურებლებში, როცა საბჭოთა სპორტსმენებმა საფუძვლიანად უცვალეს სახე მსოფლიო რეკორდების ცხრილს.

საქართველოს სპორტსმენები უკვე დამოუკიდებლად ატარებენ საერთაშორისო შეხვედრებს და მრავალგზის ნაქებ გუნდებთან დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებულნი გამოდიან. ჩვენ გვყავს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, ევროპისა და მსოფლიოს რეკორდსმენები. მაშასადამე, მასალა არის და საკმაოდ მდიდარიც, მიმზიდველიც. საჭიროა მხოლოდ მონდომება, დაინტერესება.

რუსულ ლიტერატურაში, საბჭოთა ხელოვნებაში, თეატრსა და კინოში, მტკიცედ მოიკიდა ფეხი სპორტულმა თემამ, მაგრამ ჩვენთან ამას ვერ ვხედავთ. მართალია, ცალკეული მწერლები ცდილობენ ასახონ სპორტსმენთა ცხოვრება, გამოიყვანონ სპორტსმენები თავიანთი რომანის თუ პოემის გმირებად, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა. ჩვენ დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ ნაწყვეტს სტალინური პრემიის ლაურეატის ალექსანდრე ქეიშვილის რომანიდან „დიდი ტალღა". მწერალმა ხალხთა მეგობრობის ფონზე დამაჯერებლად აგვიწერა მოთხილამურეთა ცხოვრება, მათი ბრძოლა შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და უკეთესი შედეგის ჩვენებისათვის.

თითო-ოროლა ლექსები დაწერეს სპორტულ თემაზე ცნობილმა პოეტებმა ი. ნონეშვილმა, მ. ლებანიძემ და სხვებმა. ეს არის და ეს. კომპოზიტორებს ამ დარგში სრულიად არაფერი გაუკეთებიათ, კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა" სცადა სპორტული კინონარკვევების შექმნა. მალე მაყურებლებმა ეკრანზე იხილეს მეტად მიმზიდველი კინონარკვევი „ბორის პაიჭაძე", მაგრამ ამით ამოიწურა ყველაფერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ყველა სპორტული ღონისძიების უცვლელი მაყურებლები არიან. ზოგიერთი მათგანი სპორტული სექციის აქტიური წევრია, მონაწილეობს ღონისძიებებში, ახლო ურთიერთდამოკიდებულებაშია სპორტსმენებთან, წერს ყველაფერზე, მაგრამ ერთხელაც არ მოჰფიქრებია თავისი შემოქმედებითი არსენალი სპორტული თემით გაემდიდრებინა.

მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების დახმარება განსაკუთრებით ახლაა საჭირო. სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მეტად სერიოზული ამოცანები დასახეს სპორტსმენების წინაშე: ხალხთა სპარტაკიადის სანიმუშოდ ჩატარების შემდეგ მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიურ თამაშებში და პირველი ადგილი დაიკავონ. სპორტის ავტორიტეტის ამაღლებისათვის საჭიროა მხატვრული ნარკვევები, მოთხრობები, პოემები, ლექსები სპორტსმენებზე, მათ ბრძოლაზე საუკეთესო შედეგის მოპოვებისათვის, მხატვრული ტილოები, რომლებზეც აღბეჭდილი იქნება სპორტსმენის ვარჯიში ან სხვა კონკრეტული მომენტი. ჩვენ გვინდა მარშები, სიმღერები, რათა უფრო მჭიდრო რიგებად, ფეხშეწყობილი გამოვიდეთ პარადებზე. ჩვენ გვინდა კინოფილმებში, სპექტაკლებში წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად ვხედავდეთ სპორტსმენებსაც.

ამას გარდა საჭიროა აღინიშნოს, რომ დროა ჩვენმა სპორტის ვეტერანებმაც მოჰკიდონ ხელი ლიტერატურულ საქმიანობას და შექმნან მემუარული ლიტერატურა, სადაც გაშუქებული იქნება საკუთარი, მრავალი წლის გამოცდილება. ამ რამოდენიმე დღის წინ გამოვიდა ი. ასლანიშვილის, ო. გიგინეიშვილისა და დ. ფურცელაძის წიგნი „მთამსვლელობა საქართველოში". ეს მეტად სერიოზული ნაბიჯია საქართველოს სპორტის, კერძოდ, ალპინიზმის განვითარების შესასწავლად. საჭიროა ასეთი წიგნები სპორტის სხვა სახეობაშიც გამოვიდეს. ეს საქმე კი თვით სპორტსმენებმა უნდა ითავონ.

რასაკვირველია, მხატვრულად სრულყოფილი და იდეურად გამართული ნაწარმოებების შექმნა სპორტულ თემებზე რთული რამეა, ნაწარმოები პოპულარობას ვერ მოიხვეჭს თუ იგი ზერელედ, საქმის არსის ჩაუწვდომლად იქნება დაწერილი. ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს გააჩნიათ სათანადო შემოქმედებითი ერუდიცია და იმედია, რომ ისინი ბეჯითად შეისწავლიან სპორტსმენთა ცხოვრებას და საბჭოთა მშრომელებს მიაწვდიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს.

სამი მილიონი მონაწილე

პროფკავშირების საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც წელს ჩატარდება, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპთაგანი იქნება. პირველი თბილი დღეებიდანვე დაიწყება მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობასა და მშთ კომპლექსში, რომელიც პირველ ივლისამდე გასტანს. წინასწარი ვარაუდით ამ ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სამ მილიონამდე ფიზკულტურელმა.

1-დან 20 ივლისამდე ჩატარდება პროფკავშირების საოლქო და სამხარეო სპარტაკიადები. 20-დან 3 აგვისტომდე — ზონალური და რესპუბლიკური სპარტაკიადები. პროფკავშირების საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადის ფინალი მოეწყობა 13-დან 20 აგვისტომდე მოსკოვში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 3.000 სპორტსმენი.

გამარჯვება ათივე შეხვედრაში

ლენინგრადში ჩატარდა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

უმჩატეს წონაში ფინეთის ჩემპიონი ე. ოხვანაინენი დამარცხდა საბჭოთა სპორტსმენ ა. შანგუროვთან. დიდი ინტერესი გამოიწვია მჩატე წონის მოკრივეების ფინეთის ჩემპიონ რ. ლუკონენისა და საბჭოთა ჩემპიონ გ. სტეპანოვის შეხვედრამ. ქულებით გაიმარჯვა სტეპანოვმა. ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ა. ზასუხინმა ბრწყინვალედ ჩაატარა ბრძოლა ფინეთის ჩემპიონ ო. მიაკის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. მსუბუქ და პირველ ქვესაშუალო წონაში გამარჯვებული გამოვიდნენ აგრეთვე, საბჭოთა სპორტსმენები ნ. სმირნოვი და ვ. ენგიბარიანი, რომლებმაც ქულებით დაამარცხეს ვ. იარვენპია და ხ. ბოსტრემა. გ. შატკოვმა ნოკაუტით მოუგო ბ. გრენროს. ა. შოციკასისა და მ. ვალკამას შეხვედრა შეწყვეტილ იქნა პირველსავე რაუნდში საბჭოთა სპორტსმენის აშკარა უპირატესობის გამო.

ათივე შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

სურათზე: ვ. სმისლოვი (მარცხნივ) და ე. გელერი მატჩის მე-2 პარტიის გათამაშებისას.
ფოტო ვ. სიმონოვისა.

ბრძოლა ჩემპიონობისათვის გრძელდება

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). სმისლოვ-გელერის მატჩის მესამე, გადადებული პარტიის დამთავრებისას თამაში ახალი სიმწვავით გაჩაღდა. მაგრამ მალე ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა და ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

მეოთხე პარტიაში თამაშის დასაწყისი საინტერესო ბრძოლას მოასწავებდა, მაგრამ გართულებებს არ მოჰყოლია რაიმე გარკვეული შედეგი. მოწინააღმდეგეებმა კვლავ ფიგურების გაცვლით პოზიციის გამარტივება არჩიეს და 28-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, პირველი ოთხი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 2:2.

• • •

თბილისი. გურგენიძის დამარცხებამ მესამე პარტიაში ბრძოლა მეტად გაამწვავა. ამიტომ მეოთხე პარტიას, რომელიც 11 აპრილს შედგა, ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი დაესწრო. შიშოვმა თამაში მეფის პაიკის ორ უჯრაზე გადადგმით დაიწყო გურგენიძემ სიცილიური დაცვით უპასუხა, მაგრამ მე-7 სვლაზე ნაცვლად იმისა, რომ დაემთავრებია ფიგურების მობილიზაცია, ნაადრევად წასწია ლაზიერის ფრთის პაიკი და შესამჩნევად დაასუსტა პოზიცია. შიშოვმა ოსტატურად გამოიყენა ეს გარემოება და ცენტრში ფიგურების თავმოყრით იერიში მიიტანა გურგენიძის მეფეზე. მე-20 სვლაზე გურგენიძე დანებდა.

ამ გამარჯვებით შიშოვმა გაათანაბრა მატჩის ანგარიში (2:2).

მეხუთე პარტია შედგება დღეს, 13 აპრილს.

ბულგარელი ფრენბურთელები მოსკოვში

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბულგარეთის ფრენბურთელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ქალთა გუნდის აქტივშია 1952 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე ადგილი და გასული წლის გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონზე — საბჭოთა კავშირის ნაკრებზე. ხოლო ამ ქვეყნის ვაჟთა გუნდი 1954 წელს სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი გახდა.

ლენინგრადში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრის შემდეგ 7 აპრილს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის დარბაზში ბულგარეთის გუნდმა ითამაშა მოსკოველ ფრენბურთელებთან.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ა. გრუიას (რუმინეთი) სასტვენის ხმაზე დაიწყო ბულგარეთისა და მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდების თამაში. შეხვედრის დაწყებისთანავე ცხადი გახდა საბჭოთა ფრენბურთელების უპირატესობა, სადაც განსაკუთრებით ოსტატურად მოქმედებდა ა. ჩუდინა. პირველი პარტია მოიგეს დინამოელებმა—15:5. სტუმრებმა ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა საბჭოთა ფრენბურთელების გამუდმებულ შეტევებს მომდევნო პარტიებში და მატჩი დამთავრდა „დინამოს" ფრენბურთელთა გამარჯვებით 3:0.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ვაჟთა გუნდებს შორის. პირველი ორი პარტია არასახარბიელო იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებისათვის. (12:15, 12:15). საბჭოთა კავშირის გუნდიდან კარგად თამაშობდა სმოლიანინოვი, მაგრამ მას ცუდად ეხმარებოდნენ რევა და ჩესნოკოვი. გაუბედავად მოქმედებდა ლიბინშიც.

მესამე პარტიაში ანგარიში თავიდანვე საბჭოთა სპორტსმენებმა წაიყვანეს 5:0, 6:1. ბულგარეთის მწვრთნელმა გ. კრისტოვმა გონებამახვილური ტაქტიკური გეგმა მიიღო. ნახა რა, რომ პარტია წაგებულია, მან თამაშიდან გამოიყვანა ძირითადი შემადგენლობა და შეიყვანა მეორე ექვსეული. ამით ძირითად მოთამაშეებს მიეცათ დასვენების საშუალება. მესამე პარტიის წაგების შემდეგ (6:15) სტუმრებმა შედარებით ადვილად მოიგეს მეოთხე გადამწყვეტი პარტია 15:9. შეხვედრის საერთო ანგარიშია 3:1 ბულგარეთის ფრენბურთელთა სასარგებლოდ.

მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება

მსოფლიო ჩემპიონის — დასავლეთ გერმანიისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის შტუტგარტში ჩატარებულ ფეხბურთის მატჩს 85.000-მდე მაყურებელი დაესწრო.

თამაში მწვავედ ჩატარდა. პირველი ნახევრის მე-10 წუთზე იტალიელმა თავდამსხმელმა ფრინიანიმ ძნელი მდგომარეობიდან ბრწყინვალედ დაარტყა მოწინააღმდეგის კარში და ანგარიში გახსნა. 20 წუთის შემდეგ გერმანელმა ფეხბურთელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. თამაშის მე-40 წუთზე იტალიელ ფეხბურთელთა მარცხენა შუამარბმა პივატელლიმ ანგარიში 2:1-მდე გაზარდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში ორივე გუნდი ამაოდ ცდილობდა ანგარიშის შეცვლას. თუმცა იტალიელთა შეტევა უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა, მაგრამ რამდენჯერმე ახლო მანძილიდან დააცილეს კარს.

შეხვედრას სჯიდა უნგრელი მსაჯი ჟოლტი.

XVII ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი ფეხბურთელთა პარადი 10 აპრილს, „დინამოს" სტადიონზე.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

მეტი და მაღალხარისხოვანი ლიტერატურა სპორტზე

ი. ნონეშვილი

მთამსვლელ გოგონას

ეგ სახე მყინვართა
სარკეშიც მინახავს,
მაღალ მთებს,
ქარაფებს

აფრქვევდა მინანქარს.
ეგ თმები კლდეებზე
ჩანჩქერად მინახავს,
ქალი ხარ,

ალი ხარ,
მითხარი, ვინ ხარ?..
არ გეყო ძალით რომ
დაიპყარ ეს გული?

ახლა მთებს მიადექ
რისხვით წარბშეკრული.
უფრთხილდი, ლამაზო,
მთა განა გულია?

მანდ ყველგან ქარიშხლის
ფრთა განაბულია.

და როგორც ლომები
პირს რისხვით აღებენ
ნისლებში ნაპრალთა
ვეება თაღებს.

უფრთხილდი, ყაზბეგიც
ბერი ნუ გგონია,
ჭაბუკის გული აქვს
ჭაღარა გოლიათს.

მაგ თვალთა ცდუნებას
ვაჰ თუ ვერ გაუძლოს,
დაგტოვოს თავისთან,
მყინვართა საუფლოს.

...მაგრამ შენ სრულიად
არ უფრთხი არაფერს
და როგორც კიბეებს,
აბიჯებ ქარაფებს.

პირველი მიუძღვი
გამოცდილ მთამსვლელებს.

ხან თოვლი გეყრება,
ხან წვიმა გასველებს.
მე შენმა სურვილმა
მთამსვლელად მაქცია,

წერაქვი მიჭირავს,
წრიაპი მაცვია...
და ფრთხილად მოგყვები,
შენსავით ვიქცევი,

რამდენჯერ აშკარა
მარცხისგან მიხსენი.
ფეხი თუ დამიცდა
ხელს მიწვდი მაშინვე,

რამდენჯერ დაღუპვას
შენ გადამარჩინე.
მაგრამ ძირს, ქალაქში
როდესაც ჩავდივართ,

მთამსვლელთა ადათ-წესს
ივიწყებ ადვილად.

შემხვდები ქუჩაში,
გულცივად მიყურებ,
მანიშნებ: ბარშიაც
მხსნელად ნუ მიგულებ.

ვგრძნობ: მე არ ვეკუთვნი
მაგ თვალთა არჩევანს
და ვხედავ ჩვენს შორის
ნაპრალის გაჩენას.

მე შენი სიმკაცრის
ნაპრალში ვვარდები,
ძვირფასო, საშველად
ნუ დაჰგვიანდები.

მე ყველა ნაპრალზე
ეს მეტად მაშინებს...
კვლავ ხელი მომეცი,
კვლავ გადამარჩინე.

კოლექტიური ნაშრომი

შ. რევიშვილი,
დოცენტი.

საბჭოთა ალპინიზმის აკვანი საქართველოში დაირწა. 1923 წელს მყინვარწვერზე ორი მასობრივი ასვლით საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმს, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მას შემდეგ ქართველმა მთამსვლელებმა მრავალი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, რიცხობრივად გაამრავლეს და ხარისხობრივად სრულჰყვეს თავიანთი რიგები.

საბჭოთა ალპინიზმი გამოირჩევა თავისი მასობრივობით. ეს თვისება მას თან დაჰყვა აღმოცენებისთანავე და დღესაც იგი მის განსაკუთრებულ ნიშანს წარმოადგენს. მასობრივი ხასიათის იერიშები, ალპინიადები განსაკუთრებით გამრავლდა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე.

ქართველი სახელოვანი ალპინისტების პლეადას ამშვენებს დიდების შარავანდედით მოსილი მრავალი სახელი. მათ შორის არიან გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ბიმენ დვალი, სიმონ, ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეები, სახალხო მთამსვლელები იაგორა კაზალიკაშვილი, გაბა წიკლაური, ექვთიმე თავბერიძე და სხვ.

ალპინიზმის განვითარებამ, თავის მხრივ შესაძლებელი გახადა მაღალმთიანეთში ფართოდ გაშლილიყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, წარმოებულიყო კავკასიის მწვერვალთა მიდამოების მეტეოროლოგიური, მაგნიტოლოგიური და ტოპოგრაფიული გამოკვლევა, გამოვლენილიყო სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო—მთების გულში დამარხული წიაღისეული. ქართველი მთამსვლელები აგროვებდნენ ცალკეული კუთხეების ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და არქეოლოგიურ მასალას; აღწერდნენ და ზომავდნენ ისტორიულ ნაგებობებს; სწავლობდნენ მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებს: ხვამლისა, ორხვისა და სხვა გამოქვაბულებს. მათ აღმოაჩინეს და შეისწავლეს ბეთლემი.

თავიანთი საყვარელი სპორტის შესახებ ქართველი მთამსვლელები ეწევიან ჯეროვან ლიტერატურულ მუშაობას, წერილებსა და ნარკვევებს ხშირად ათავსებენ როგორც რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, ასევე საკავშირო ორგანოებშიც. ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ალიოშა ჯაფარიძის „რჩეული ნაწერების" მოზრდილი ტომი. მაგრამ ეს მდიდარი მასალა ჯერ კიდევ არ იყო მოყვანილი მთლიანობაში, არ იყო განზოგადებული ალპინისტური მოძრაობის სახელოვანი გზა, არ იყო წიგნი, რომელიც გაგვაცნობდა საქართველოში მთამსვლელობის ძირითად მომენტებს, ქართველი ალპინისტების დიდ წარმატებებს.

ამ მძიმე, მაგრამ საპატიო საქმის გაკეთება უკისრიათ ი. ასლანიშვილს, ო. გიგინეიშვილს და დ. ფურცელაძეს, რომელთა კოლექტიური ნაშრომი — „მთამსვლელობა საქართველოში" — ახლახან გამოსცა სახელგამმა. დასახელებული წიგნი წარმოადგენს საქართველოში 1923-1950 წლების მანძილზე მთამსვლელობის დარგში მიღწეული შედეგების მოკლე მიმოხილვას. წიგნის შედგენისას ავტორებს გამოუყენებიათ საარქივო მასალები და გამოცემული ლიტერატურა, აგრეთვე მთამსვლელობაში საკუთარი მუშაობა და გამოცდილება.

„მთამსვლელობა საქართველოში" ქართულ ენაზე ქართული მთამსვლელობის ისტორიის მასალების დამუშავების პირველი ცდაა, ამიტომაც ავტორებს მიზნად დაუსახავთ სრულად აღენუსხათ კავკასიონის მწვერვალებსა და გადასასვლელებზე მოწყობილი ყველა ღონისძიება.

წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განხილული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი საქართველოს მთამსვლელობის ისტორიიდან, ქვეთავებადაა გამოყოფილი ისეთი საკითხები, როგორიცაა „სამხედრო მთამსვლელობა", „სამოქალაქო მთამსვლელობა", „სასწავლო მთამსვლელობა და მასობრივი სამთო ტექნიკური მომზადება", „სპორტული მთამსვლელობა" და სხვ.

წიგნი დაზღვეული არაა ზოგიერთი ნაკლისაგან. ცალკეულ ადგილებში შეიმჩნევა ისტორიზმით გატაცება, ზოგიერთი პიროვნება წარმოდგენილია რომანტიკულ ფერებში, მეორეს მხრივ — შეიმჩნევა სქემატიზმი და თხრობის ფრაგმენტულობა. წიგნის სუსტ მხარედ ჩაითვლება განმეორებები: მყინვარზე 1935 წელს ქართული დივიზიის ნაკრები ათასეულის ასვლაზე ორჯერაა მოთხრობილი (გვერდი 25 და 32), 63-ე გვერდზე ზედმეტია მსჯელობა სამამულო ომში ქართველი ალპინისტების მონაწილეობაზე, რაკი ამ საკითხს ცალკე ეთმობა სპეციალური თავი. გაუმართლებელია ორჯერ მსჯელობა ხვამლთან დაკავშირებით (გვ. 57 და 124). წიგნის ენა დამაკმაყოფილებელია, თუმცა აქა-იქ გამონაკლისის სახით მაინც გვხვდება დაუხვეწავი ადგილები. გაპარულია ტექნიკური შეცდომებიც. აუცილებელი იყო წიგნს დართვოდა უფრო მეტი, უკეთესი ხარისხის რეპროდუქციები და უფრო დიდი ტირაჟით გამოცემულიყო.

კოლექტიური ნაშრომი — „მთამსვლელობა საქართველოში" — უდაოდ სასარგებლო წიგნია. იგი ხელს შეუწყობს ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ახალგაზრდობას — გაეცნოს საქართველოში ალპინიზმის განვითარების სახელოვან გზას.

მისაბაძი მაგალითი

საბჭოთა სპორტსმენების მრავალფეროვანმა, მიმზიდველმა ცხოვრებამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა შესაფერისი ასახვა საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი პოეტები, მწერლები, დრამატურგები ნაკლებ წერენ ფიზკულტურასა და სპორტზე.

ჩვენი სქელტანიანი ჟურნალები თავის ფურცლებზე იშვიათად ათავსებენ მხატვრულ ნაწარმოებებს სპორტულ თემებზე. სრულიად არ უთმობენ ტრიბუნას გამოჩენილ სპორტსმენებს, ნაკლებად ეწევიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას.

ამიტომ, ბუნებრივია ის დიდი სიხარული, რაც გამოიწვია მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების ორგანოს ჟურნალ „ლენინგრადსკი ალმანახის" ფურცლებზე სპორტულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებების გამოქვეყნებამ. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალს სხვა განყოფილებებთან ერთად აქვს სპეციალური განყოფილება „სპორტი". ჟურნალში ხშირად იბეჭდება გამოჩენილ სპორტსმენთა პორტრეტები, ცალკეულ შეჯიბრებების მომენტები.

ჟურნალის გასული წლის მეშვიდე ნომერში სპორტის განყოფილებაში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, თხილამურებში მსოფლიო ჩემპიონის ლიუბოვ კოზირევას (ვატინას) გულთბილად დაწერილი მოთხრობა „თოვლიან ბილიკებზე". ეს არის ისტორია უბრალო რუსი ქალიშვილისა, რომელმაც შეუპოვარი წვრთნითა და ვარჯიშით მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაიმსახურა.

ლ. კოზირევა საინტერესოდ გადმოგვცემს თავის სპორტულ ბიოგრაფიას, მიმზიდველად აღწერს საბჭოთა მოთხილამურეების გამოსვლებს უცხოეთში.

მერვე ნომერში მოთავსებულია სპორტის დამსახურებული ოსტატის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ნ. საკინას წერილი „სპორტული სიმწიფე". ნ. საკინა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი ნიჩბოსანია. იგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა, მოპოვებული აქვს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ნ. საკინას სტატიაში განსაკუთრებით კარგად იკითხება ის ადგილები, სადაც აღწერილია საბჭოთა ნიჩბოსნების გამოსვლა უცხოეთის საწყლოსნო ბილიკებზე.

„ლენინგრადსკი ალმანახის" მეცხრე წიგნში რედაქციამ გამოაქვეყნა ვ. კეტლინსკაიას 4 მოქმედებიანი კომედია „აი, სიყვარულიც". პიესა ეხება ერთ-ერთი ოპტიკური ქარხნის სპორტული კოლექტივის ველოსიპედისტთა ცხოვრებას. დრამატურგი ოსტატურად იყენებს სპორტულ სცენებს მოქმედ გმირთა ხასიათების გასახსნელად.

1954 წლის ივლისის ნომერში ჟურნალმა „ზვეზდამ" გამოაქვეყნა საერთაშორისო გროსმაისტერის, ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკისა და პიანისტის მარკ ტაიმანოვის საქმაოდ დიდი სტატია, რომელშიც მოთხრობილია საბჭოთა მოჭადრაკეების გამოსვლებზე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და პარიზში.

ჟურნალების „ლენინგრადსკი ალმანახის" და „ზვეზდას" საქმიანობა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს სხვა სქელტანიანი ჟურნალებისათვის. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა გაკეთდა ჩვენში ამ მხრივ, კერძოდ, როგორ აშუქებს საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო ჟურნალი „მნათობი" სპორტსმენთა ცხოვრებას? უნდა ითქვას, რომ ძალზე სუსტად. სპორტულ თემებზე ჟურნალში მხოლოდ ერთი ნაწარმოები გამოქვეყნდა. ეს იყო მეათე ნომერში დაბეჭდილი ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის მოთხრობის „სილის გარტყმის" ქართული თარგმანი.

ჩვენი ფიზკულტურელები სამართლიანად საყვედურობენ ქართველ მწერლებს, რომლებიც გვერდს უვლიან რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების ასახვას. ჩვენი სპორტსმენები ბევრს მოგზაურობენ საზღვარგარეთ, წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ნუთუ ყოველივე ამან არ უნდა დააინტერესოს ჩვენი მწერლები? ნუთუ ამ ამბებმა ასახვა არ უნდა ჰპოვონ ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე?

ბ. დარსაძე

108 ნორჩი მოჭადრაკის მონაწილეობით

კარგ ტრადიციად იქცა საქართველოს უძლიერეს ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური პირველობის გათამაშება. მარტის არდადეგების დღეებში სოხუმში შეიკრიბა თბილისის, ბათუმის, თელავის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის და სხვა ქალაქების 12 გუნდი.

ძლიერად ითამაშეს თბილისელებმა, რომლებმაც ყველა მატჩი მოიგეს და პირველ ადგილზე (41,5 ქულა) გამოვიდნენ. დედაქალაქის ნორჩ მოჭადრაკეთა სახელს იცავდნენ ი. ჩიქოვანი, დ. ჯანოევი, ი. ვეტოხინი, ვ. სმირნოვი, თ. ლომაია, ვ. კაჭარავა, მ. თხელიძე, მანანა ტოგონიძე და ნონა გაფრინდაშვილი.

მეორე ადგილი დაიკავა ბათუმის კოლექტივმა (26,5 ქულა), მესამე — ქუთაისმა (22 ქულა).

II ჯგუფში თავი ისახელეს ფოთელებმა (34 ქულა). გამარჯვებაში მათ ხელი შეუწყო დ. თოფურიას, ო. ხუხუნის, ვ. გაბუნიას, ო. მიქაძის და აზა თურქიას კარგმა თამაშმა. ფოთის გუნდს 10,5 ქულით ჩამორჩნენ გორელები. მესამე ადგილი წილად ხვდა თელავის წარმომადგენლებს.

პირველობამ ცხადყო, რომ რესპუბლიკას ეზრდება კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა მოჭადრაკეები. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ პირველობაში მონაწილე 108 მოჭადრაკეთა შორის 8 პირველთანრიგოსანი, 18 მეორეთანრიგოსანი და 35 მესამეთანრიგოსანი იყო.

თ. ნინოშვილი

იღებენ ფიზკულტურულ განათლებას

მიმდინარე სასწავლო წელს მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტს გამოეყო და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან შეიქმნა დაუსწრებელი განყოფილება. აქ მუშაობისაგან მოუწყვეტლად 300-მდე ფიზკულტურული მუშაკი და სპორტსმენი იღებს უმაღლეს განათლებას. მათ შორის არიან მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე და სხვ.

მეხუთე კურსის სტუდენტები ამჟამად პრაქტიკას გადიან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტულ საზოგადოებებში, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებში.

წელს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სამუშაოდ გაგზავნის პირველი გამოშვების უმაღლესი განათლების 37 სპეციალისტს.

ი. ხაბეიშვილი

მხოლოდ ერთი მაგიდა...

თელაველ მშრომელთა შორის მაგიდის ჩოგბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი აქ სულ სამიოდე წლის წინათ დაინერგა. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო. სასწავლებლებსა და დაწესებულებებში დადგეს ჩოგბურთის მაგიდები, ეწყობოდა შეჯიბრებები. მაგრამ ახლა?

კულტურის სახლის ადმინისტრაციამ ჩოგბურთის მაგიდა დამალა, ასე მოიქცნენ თელავის სახელმწიფო თეატრში, მასწავლებელთა სახლში. მთელს რაიონში მხოლოდ პედაგოგიურ ინსტიტუტშია სათამაშოდ ვარგისი ჩოგბურთის მაგიდა. განა შეიძლება ერთმა მაგიდამ დააკმაყოფილოს სპორტის ამ სახეობის ათობით მოყვარულთა მოთხოვნები?

ა. სახიევი

ქრონიკა

15 აპრილს საქართველოს ალპურ კლუბში მოეწყობა სპორტის ოსტატ დ. ფურცელაძის ლექცია თემაზე: „იაგორ კაზალიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა".

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მატჩი

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მინსკი)

გასული წლებისაგან განსხვავებით, წელს მაყურებლებს საშუალება აქვს ნახოს ორი თამაში ერთად — როგორც დუბლიორების, ისე ძირითადი შემადგენლობისა.

ასე მოხდა სეზონის გახსნის დღესაც. 10 აპრილს 13 საათსა და 30 წუთზე გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა და „დინამოს" თავდასხმის ცენტრმა ი. კურტანიძემ შეასრულა პირველი დარტყმა დუბლიორთა გათამაშებაში.

საფეხბურთო მოედანზე ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდა ფეხბურთელები ხელაძე, ჩიჩუა, მელაშვილი, იამანიძე, კურტანიძე, მესხი, მოხოვი, ბულიგინი, ბალიკინი — მომავალი ოსტატები, რომელთაც სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრაში აჩვენეს კარგი მომზადება და ენერგიული თამაში. ანგარიში გახსნეს მინსკელებმა, მაგრამ შემდგომში კურტანიძემ გაათანაბრა იგი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მსაჯის ნ. ხლოპოტინის სასტვენზე თბილისის „დინამოს" და მინსკის „სპარტაკის" ოსტატები გამოდიან მწვანე მინდორზე.

„დინამო" — მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, ხოჭოლავა, მახარაძე, დავარაშვილი, კოტრიკაძე, ქ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, ხასაია.

„სპარტაკი" — ხომიჩი, გოლუბევი, სილიცკი, მალიავკინი, აბრამოვიჩი, ფომინი, მოზერი, კურნევი, ეგოროვი, მაკაროვი, გოლოშჩაპოვი.

თამაში დაიწყო. გუნდები თავიდანვე, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე გადადიან შეტევაზე.

მინსკელებს ხშირად ეხმარება ძლიერი ზურგის ქარი. მე-18 წუთზე ღოღობერიძემ მოატყუა ორი მცველი და დროზე გადასცა ღიად დარჩენილ კოტრიკაძეს. ამ უკანასკნელმა კი დაჰკარგა ბურთი. ცოტა ხანში მარჯვენა მხრიდან მოწოდებული ბურთი მიიღო კალოევმა და გადამწყვეტ მომენტში არაზუსტად, მაღლა დაარტყა.

თამაშის 25-ე წუთია. მოედნის შუაგულში ღოღობერიძემ დაარღვია წესი. სტუმრებს მიეცა საჯარიმო დარტყმის უფლება. ბურთი მიიღო ნახევარმცველმა აბრამოვიჩმა, რომელიც სწრაფად მიუახლოვდა მასპინძელთა საჯარიმო მოედანს. „დინამოს" მცველებმა დაუშვეს უხეში ტაქტიკური შეცდომა — აბრამოვიჩს არავინ არ შეებრძოლა და ყველამ კარისკენ დაიხია. მინსკელი შევიდა საჯარიმო მოედანში და კარში დაარტყა. მარღანია გადახტა, მაგრამ ბურთი მოხვდა გვერდით ძელს და ბადეში გაეხვია.

დინამოელები ჩქარობენ. ზოგ შემთხვევაში ზედმეტად ატარებენ ბურთს. მახარაძე ხშირად ტოვებს თავის ზონას და თავდამსხმელთა რიგებში ერევა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, რაც მოთამაშეთა თავშეყრას იწვევს. ეს კი მნიშვნელოვნად უადვილებს სამუშაოს მინსკელთა დაცვას.

ერთხანს თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ტაიმის დასასრულს თბილისელებმა ანგარიშის გათანაბრების ნაღდი შესაძლებლობა დაჰკარგეს—ღოღობერიძე გავიდა მარჯვენა ფრთაზე და ცენტრში ჩააწოდა. კალოევმა კარის ხაზიდან 4 მეტრის დაშორებით მიიღო ბურთი, მაგრამ მის დარტყმას მოუსწრო ხომიჩმა და ბურთი კუთხურზე გადაიყვანა

თამაშის მეორე ნახევარი ძირითადად „სპარტაკის" ნახევარზე ჩატარდა. ხშირად იყო შემთხვევები, როცა სტუმრების კართან თითქმის გამოუვალი მდგომარეობა იქმნებოდა, მაგრამ მცველები და ნახევარმცველები, რომელთაც აქტიურად ეხმარებოდნენ შუამარბები, ძალებს არ იშურებდნენ კარის უვნებელყოფისათვის. თბილისელთა თავდამსხმელები ტაქტიკურად არასწორად თამაშობდნენ. რატომღაც ხშირად იხევდა უკან კალოევი, მოედანზე არ ჩანდა გაგნიძე. დიდი ხნის განმავლობაში დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობა უშედეგო იყო. სპარტაკელები ცდილობდნენ უპირატესობის შენარჩუნებას და განზრახ აჭიანურებდნენ დროს. პირველ ტაიმში უმოქმედოდ მყოფი ხასაია გააქტიურდა და მისი სწრაფი გარღვევები მოწინააღმდეგეს ხშირად აყენებდა საფრთხის წინაშე.

„სპარტაკის" მცველები დიდი ხნის განმავლობაში მძიმე ბრძოლით იგერიებდნენ თბილისელთა იერიშებს. 37-ე წუთზე ხოჭოლავა გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და ბურთი ზუსტად ჩააწოდა სტუმრების საჯარიმო მოედანზე. კალოევმა ძლიერი თავური დარტყმით იგი კარში გაგზავნა — 1:1. გატანილი გოლის შემდეგ თბილისელები თითქმის მთელი გუნდით არიან შეტევაზე. ერთ-ერთ მომენტში ხომიჩი სტოვებს კარს, საჯარიმო მოედანსაც და ბურთისათვის გამოდის მოედნის სიღრმეში, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტშიც მინსკის მცველებმა შეძლეს ხიფათის უვნებელყოფა. მატჩის ბოლო წუთები თბილისელთა განუწყვეტელ იერიშებში მიმდინარეობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მატჩი დამთავრდა ფრედ და გუნდებმა თითო ქულა ჩაიწერეს ცხრილში.

თბილისის „დინამომ" თამაში ჩაატარა თავის შესაძლებლობაზე დაბლა. მოთამაშეები მოქმედებდნენ ჯგუფად, არ იგრძნობოდა კოლექტიურობა. მცველთა თამაში მხოლოდ მოწინააღმდეგის პერსონალურ დაჭერაზე, ზონალურ ურთიერთმოქმედების გარეშე, ხშირად ქმნის კართან სახიფათო მომენტს მაშინაც კი, როცა ეს შეიძლება გაკეთდეს მარტივად და ძალების დაძაბვის გარეშე. რაც უფრო ყურადღებით მოეპყრობიან ქართველი ფეხბურთელები თავის ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მით უფრო ახლო იქნებიან ისინი, რეალურ მიზანთან — ჩემპიონატში საპატიო ადგილის დაკავებასთან. გუნდში კურსი სწორადაა აღებული — ნიჭიერი ახალგაზრდობა გაამართლებს მათზე დამყარებულ იმედებს. საჭიროა მხოლოდ მეტი მონდომება, უკიდურესი ყურადღება და პასუხისმგებლობა თამაშის ყოველ, თუნდაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მომენტში.

გ. ჟარკოვი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: სახიფათო მომენტი მინსკელთა კართან.
ფოტო მ. ზარგარიანისა

შანდორ კოჩიში უბურთოდ

შანდორ კოჩიში

— საღამო მშვიდობისა! რაო, შანი უკვე დაბრუნდა? — ვეკითხები იმედით, ვინაიდან ბოლო დღეებში ყველა ჩემი ცდა, მენახა შანდორ კოჩიში, ფუჭი გამოდგა.

— ჯერ არ მოსულა, — თავაზიანად მიპასუხებს მისი დედა, — მაგრამ წუთი წუთზე ვუცდი, დაბრძანდით, დარწმუნებული ვარ, დღეს მაინც შეძლებთ მასთან საუბარს.

ვათვალიერებ ოთახს. კედლები მოფენილია სპორტული ფოტოებით, სუვენირი - ვიმპელებით. სასტუმრო ოთახში შესამჩნევად გამოირჩევა ვიტრინა გამარჯვების ტროფეებით: თასებით, ბროლის ვაზებით, სპორტული მედლებით და სხვა სუვენირებითა და პრიზებით. ვხედავ მექსიკის რადიოს განთქმულ თასს, რომელიც კოჩიშმა მიიღო როგორც „1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა".

— ბევრი ჯილდოა არა? — მეუბნება კოჩიშის დედა. — მე ახლა ვამაყობ ამით, მაგრამ ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ვუჯავრდებოდი შანდორს. თუმცა, ეს წარსულის საქმეა, — დასძენს იგი ღიმილით და მომითხრობს: — ერთხელ, კვირა დღეს, ამაოდ ვუცდიდი შანდორს სადილოსათვის. არ ბრუნდებოდა მისი მამაც. რა თქმა უნდა, გულმოსული ვიყავი. ისინი ერთად მოვიდნენ: წინ, მამა, უკან შვილი. გადმოაბიჯა თუ არა ზღურბლს, შანი მაშინვე დაიმალა მეორე ოთახში. მე ამას ყურადღება არ მივაქციე, რადგან მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა მომეტანა სადილი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მე მივაგენი შანდორის ამ საქციელის მიზეზს — კარადის კუთხეში ვიპოვე ჩემი შვილის საგულდაგულოდ დამალული ფეხსაცმელი: ლანჩა აგლეჯილი იყო ცხვირიდან ქუსლამდე. და, წარმოიდგინეთ, მამა ხელს უწყობდა მას ამის დამალვაში!

— რამდენჯერ შემიკეთებია შანის ფეხსაცმელი ღამღამობით, როცა ყველას ეძინა, რათა დამეცვა იგი შენი საყვედურებისაგან, — ჩაერია კოჩიშის მამა, რომელიც მანამდე უსიტყვოდ უსმენდა ჩვენს საუბარს.

— მამა ყოველთვის მფარველობდა მას... ერთხელ ვბრუნდები სახლში და ვხედავ, რომ გაქრა დიდი სარკე. იცით ამათ რა მოაწყეს? მამა მეკარედ თამაშობდა: სივრცე საწოლსა და კედელს შორის წარმოადგენდა კარს, ხოლო შვილი გოლებს ყრიდა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მაშინ შანდორი ექვსი წლისა თუ იქნებოდა.

და აი შანდორ კოჩიში, ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი მსოფლიოში, რომელიც განცვიფრებას იწვევს თავისი ფენომენალური თამაშით ჰაერში, ჩემს პირდაპირ ზის. ცნობისმოყვარეობით აღსავსე ჩემს კითხვებზე იგი პასუხობს ჩვეული თავაზიანობით:

— ჩემი ცხოვრება იმდენადაა დაკავშირებული ფეხბურთთან, რომ მეტად ძნელია ილაპარაკო მასზე და ფეხბურთი გვერდზე დასტოვო. როცა თავისუფალი ვარ, სიამოვნებით ვუსმენ რადიოს, განსაკუთრებით კარგ საცეკვაო მუსიკას. მიყვარს კინო, თეატრი, აი დღესაც მე და ჩემს მშობლებს გვინდა ვნახოთ „ჩარდაშის დედოფალი". უპირატესობას ვაძლევ ოპერეტასა და კომედიას, რადგან სიცილი მიყვარს. თუ ხელთ ჩამივარდა კარგი წიგნი, ვერ მოვცილდები სანამ ბოლომდე არ ჩავიკითხავ. ამას წინათ წავიკითხე „ქალი კამელიებით", ცოტა ხანს შემდეგ კი ვნახე ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმული ფილმიც.

— ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას ვაქცევ სწავლას, — ამბობს შანდორი. — მინდა თავისუფლად ვიცოდე ინგლისური და გერმანული ენები, რათა ვესაუბრო ჩემს საზღვარგარეთელ მეგობრებს და საშუალება მქონდეს დედანში წავიკითხო იმ წერილების თუნდაც ნაწილი, რომელსაც ვღებულობ.

კოჩიშის დედას ჩვენს წინ გამოაქვს წერილების დასტა. წერილები მრავალფეროვანია. ვხსნი ერთს — ნორჩი უნგრელი თოჟიკ სიგეტვარისგანაა: „ძვირფასო ძია კოჩიშ! მე ჯერ პატარა ვარ, მაგრამ უკვე ვერკვევი ფეხბურთში. როცა ხანში შეხვალ, უნდა შეგცვალო". აი მეორე წერილიც, რომელიც იტალიიდანაა, ფრანკო ბიდერისგან. „ჩემო ძვირფასო ბ-ნო კოჩიშ! — წერია წერილში, — მე ერთ-ერთი ყველაზე თავდავიწყებული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ იტალიაში. შვეიცარიაში საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების დროს ტელევიზორის საშუალებით საშუალება მქონდა აღფრთოვანებაში მოვსულიყავი თქვენი შესანიშნავი თამაშით".

— სასიამოვნოა ასეთი წერილების კითხვა და მათზე პასუხების გაცემა... ახლა რამდენი ახალგაზრდა გოგონა აგზავნის თავის წერილს კერიშის ქ. № 2 მისამართით!? — ვეკითხები მე და მალულად ვუცქერ დეიდა კოჩიშს, რომელიც კეთილი ღიმილით უყურებს შვილს.

— მე ჯერ არ ვფიქრობ ცოლის თხოვას, — დაუხანებლად პასუხობს შანდორი. — მოვიცდი, ჯერ კიდევ მაქვს დრო.

კოჩიში ყოველდღიურად მრავალ წერილს იღებს ფეხბურთის მოყვარულებისაგან.

დედის სიყვარული მისთვის ყველაზე ძვირფასია. იგი თაყვანს სცემს თავის დედას. ამბობენ, როცა მას რესტორანში უხდება ყოფნა, კოჩიში თხოვს, რომ ორკესტრმა შეასრულოს მათი, ორივეს საყვარელი სიმღერა. ამ ძველი სიმღერის სიტყვებია „არავინ არაა ჩემს საყვარელ დედაზე მშვენიერი და კეთილი".

ერთ-ერთი ჩემი პირველი ვიზიტის დროს, როცა ვერ შევხვდი კოჩიშს, ვუთხარი დედამისს, რომ მინდოდა მენახა განთქმული მექსიკური თასი და ახლა შეამჩნია რა ჩემი მზერა, მან გაიხსენა ჩემი თხოვნა... სინათლე ცისარტყელასავით ციალებდა თასის ვერცხლის წიბოებზე. ეს იყო შანდორ კოჩიშის სპორტულ ღირსებათა ნივთიერი აღიარება. აქვეა პირველი პრიზი — ყველაზე ძვირფასი ამ სუვენირებიდან —ნაჭედი ვერცხლის გვირგვინი, მიღებული პირველი წარმატებებისათვის ფეხბურთში ამ პრიზს წინ უძღოდა ხანგრძლივი წვრთნა, ბავშვობის დროის თავგამოდებული ბრძოლა ეზოებსა და მინდვრებზე, სადაც ისინი თამაშობდნენ ნაჭრის მძიმე ბურთით.

—თოთხმეტი წლისამ თამაში დავიწყე ქვისმტვრეველთა სპორტკლუბის ჭაბუკთა გუნდში მარჯვენა შუამარბად. მას შემდეგ ჩემი ადგილი არ შეცვლილა. უფრო ახალგაზრდობისას გული დაცვაში სათამაშოდ მიწევდა, მაგრამ დაცვა არ შემეძლო და ბევრ ბურთს ვუშვებდი. მაშინ გადავწყვიტე, რომ საკუთარი კარის ასე დაცვას ჯობია სხვის კარს შეუტიო.

1944 წელს კოჩიში თამაშობს „ფერენცვაროშის" ჭაბუკთა გუნდში. როცა შანდორს 16 წელი შეუსრულდა, იგი ამ კლუბის პირველ გუნდში ჩარიცხეს. 1948 წელს კოჩიში პირველად გამოდის უნგრეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში რუმინეთის წინააღმდეგ. მაშინ უნგრელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 9:0. 1948 წლიდან „ჰონვედის" მოთამაშე კოჩიში 47-ჯერ თამაშობდა ნაკრებში. ამ გამოჩენილმა ფეხბურთელმა მოწინააღმდეგეთა კარში კაიტანა ბურთების უდიდესი რაოდენობა.

— რომელი მატჩი მიგაჩნიათ თქვენ ყველაზე საინტერესოდ, რომელშიც მონაწილეობა მიგიღიათ?

— ლონდონის შეხვედრა ინგლისსა და უნგრეთს შორის, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 6:3.

— თქვენი აზრით, ვინაა ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგე უნგრეთის გუნდისათვის!?

— ჩვენი მუდმივი მოწინააღმდეგეა ავსტრიის გუნდი. მატჩები უნგრეთისა და ავსტრიის გუნდებს შორის ყოველთვის მწვავედ მიმდინარეობს.

— თქვენი აზრით, ვინაა საუკეთესო მოთამაშე მსოფლიოში?

— ვფიქრობ, ურაგვაელი სკიაფინო, — თავდაბლად ამბობს კოჩიში. — საწყენია მხოლოდ, რომ იგი იშვიათად ურტყამს კარში.

მე მინდოდა მომეთხრო კოჩიშის შესახებ „უბურთოდ", მაგრამ იარეც ბევრი ვილაპარაკე მასზე, როგორც ფეხბურთელზე. ეს გასაგებია: შანდორ კოჩიში ხომ პირველყოვლისა ტყავის ბურთის დიდი ოსტატია!

ვემშვიდობები თავდასხმის „მეფეს", ვუსურვებ კოჩიშს მისი მომავალი გეგმების განხორციელებას და იმედს გამოვთქვამ, რომ ვარშავაში, საერთაშორისო სპორტულ შეხვედრებზე კვლავ ვნახავთ მის უშესანიშნავეს თამაშს.

ტ. ლეონოვი
(„მოლოდოი მირა")

„ა" კლასის ოსტატთა მატჩები

ბაქო. 10 აპრილი. სტალინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები „დინამო" და „ლოკომოტივი".

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

კიევი. 10 აპრილი. კიევის დინამოელებმა თავის მოედანზე მიიღეს მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

სტალინო. 10 აპრილი. აქ გაიმართა მატჩი „ა"კლასის დებიუტანტ ადგილობრივ „შახტიორსა" და ლენინგრადის „შრომითი რეზერვებს" შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 2:2.

კუიბიშევი. 10 აპრილი. ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" თავის მოედანზე მიიღო „ზენიტი" (ლენინგრადი).

მატჩი მოიგო „ზენიტმა" — 2:1.

ერევანი. 10 აპრილი. სომხეთის დედაქალაქში თამაშობდნენ მოსკოველები — ცდსა და „ტორპედო".

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ალექსანდრე ჭეიშვილი
სტალინური პრემიის ლაურეატი

დიდი ფერდობი

◆

ნაწყვეტი რომანიდან

◆

მეორე დღეს ქალები ჩაებნენ შეჯიბრებაში. ყველას შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება. მარინეც მონაწილეობდა, მაგრამ გუშინდელი შემთხვევის შემდეგ იგი სიამოვნებით იტყოდა უარს—ირინასთან შეხვედრას ერიდებოდა.

თითქოს შავმა კატამ გაირბინა ამ ორ ქალიშვილს შორის, როცა ტრამპლინიდან დაბრუნებისას ირინამ თხილამურებზე შემოისვა შალვა და ჭიკჭიკას თქმისა არ იყოს, „თამარ ქალივით“ მოიტაცა. შალვაზეც განაწყენებული იყო მარინე, ასე უსიტყვოდ რომ მიატოვა პიწკალის ფერდობზე. წუხელ საშუალება არ მიეცა რომ პირისპირ შეხვედროდა სიყრმის მეგობარს და ეს გამოუთქმელი საყვედური მძიმე ლოდივით აწვა გულზე. ჭიკჭიკამ მაინც იმდენი უჩიჩინა, რომ მარინე დანიშნულ დროს მოსკოველთა ბაზაზე მივიდა:

მარინე, ბულანოვა და ირინა შალვასა და ჭიკჭიკას თანხლებით ადრე გამოვიდნენ ბაზიდან და თითქოს დაუბრებულნი გაემართნენ სტარტისაკენ.

სარბენ ტრასას კარგად იცნობდა მარინე. მარშრუტი ჯერ პარკის ფერდობს უვლიდა გარშემო, შემდეგ ფიჭვნარის დაბურულ ტევრზე გაივლიდა, ყინულით დაფარულ ტბებისკენ ეშვებოდა, იქიდან კი გრძელი აღმართით ამოდიოდა ახალგაზრდა ნაძვებით გარშემორტყმულ პატარა ველზე. აქედან ფრიალო თავქვეებით ფინიშთან გამოდიოდა.

ხუთივე გამოვიდა სტარტზე, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ შეჯიბრების სხვა მონაწილეები. მარინე მეოთხე ნომერი იყო, ირინა კი მეთექვსმეტე.

— აფსუს, რა შორსა ვართ ერთმანეთისაგან, — შემოანათა მარინეს სოკოლოვას ლაჟვარდისფერმა თვალებმა, — ერთიმეორის მომყოლი ნომრები რომ შეგვხვედროდა, ერთად ვივლიდით, ერთმანეთს გავამხნევებდით. მაგრამ არა უშავს, ყოჩაღად იარე! მიაძახა მოსკოველმა ქალიშვილმა, როცა მსაჯმა ალამი დაიქნია. მარინე მოწყდა ადგილიდან. ისევ ჩაესმოდა ყურში სოკოლოვას სიტყვები „ერთმანეთს გავამხნევებდითო“, რატომღაც დამცინავი კილო იგრძნო სოკოლოვას სიტყვებში. განა ირინეს გამხნევება სჭირდება მარინეს, გუშინ „ალქაჯივით“, რომ ეშვებოდა წიფლებით დაბურულ პიწკალის ფერდობზე.

მარინე აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა თხილამურის ნაკვალევს, სარტყელივით რომ ევლებოდა ფერდობს.

შალვა სასტარტო კარებთან დარჩა.

— ალბათ ირინას წამოსვლას თუ ელოდება! — გაიფიქრა მარინემ.

ჭიკჭიკა კი გულშემატკივრებთან ერთად წინ გაეშურა, რომ შეჯიბრების მონაწილეებს გზაში დახვედროდა, გაემხნევებია.

თოვლზე გადაკრული თხელი ქერქი ოდნავ გაელხო მზის სხივებს. შესანიშნავად სრიალებდნენ თხილამურები.

მარინემ სწრაფად გაიარა პარკის ფერდობზე შევლებული კვალი და ფიჭვნარის დაბურულ ტყეში შეიჭრა. ღრმა სიჩუმეს დაესადგურებია აქ. მხოლოდ პატარა ჩიტების წივწივი გაისმოდა ქამიქამ. ტევრს ხმა გაეკმიდა, თითქოს ყურს უგდებდა მარინეს თხილამურების ხრჭიალს. მარინე უკვე ხედავს ტბებისაკენ დაქანებულ ტრასის მონაკვეთს, ხედავს მოთხილამურეებს, თავქვეზე რომ მისრიალებენ. მარინეც დაეშვა ამ თავბრუდამხვევ დაღმართზე. შემოუარა ტბებს, საიდანაც უკვე აღმართი იწყებოდა.

— კარგად მიდიხარ, კარგად! — ამხნევებდნენ ტრასის გასწვრივ ჩამწკრივებული ბაკურიანელი მოსწავლეები.

— კაკაო ხომ არ გინდა, გაგამაგრებს, — შემოაგება საკვებ პუნქტთან მწვრთნელმა ირემაძემ. მარინემ მხოლოდ გაუღიმა, უარის ნიშნად თავი გადააქნია და დაკიდებულ აღმართს შეუდგა. აქ უფრო მაგრად აჭერდა მზე, თხილამურებმა უკუსხლეტა იწყეს. მარინე მაინც სისწრაფის შეუნელებლად მიჰყვებოდა აღმართს. ძალუმად სცემდა ჯოხებს. უკვე ორ მოთხილამურეს გაუსწრო.

აღმართის ათავებას ცოტაღა აკლდა, როცა შემოესმა მის კვალზე მომავალი მოთხილამურის ნაბიჯების ხმა, მოკლე და ხშირი, მისწრაფებული, ასეულ მოთხილამურის ნაბიჯში რომ გამოირჩეოდა. მარინეს თავიც არ მოუბრუნებია იმის გასაგებად, თუ ვინ მოსდევდა. ეჭვი არ იყო, ირინა ეწეოდა მას. ასე მოკლე და ხშირი ნაბიჯებით სძლევდა ყოველთვის სოკოლოვა აღმართს.

— მარინე! — შემოესმა მის კვალზე მომავალი ირინას ალერსიანი შემოძახილი. არც ახლა მოიხედა უკან მარინემ.

— რამდენი მოთხილამურისათვის უნდა გაესწრო სოკოლოვას, რომ მარინეს დასწეოდა? მარინე მეოთხე ნომრით მიდიოდა, ირინა კი მეთექვსმეტეთი.

— „ნეტა ასე რას გულმოდგინეობს? ირინა და ბულანოვა ხომ კონკურსგარეშე მონაწილეობენ დღევანდელ შეჯიბრებაში. ირინას ხომ არ უნდა პირველობა მოიპოვოს მეორე თანრიგის მოთხილამურეებს შორის, საინტერესოა შალვა თუ მოსდევს კვალდაკვალ?“.

— მარინე!—კვლავ მოესმა ირინას ხმა.

რატომღაც მწვავეთ მოხვდა მარინეს გულს ეს ძახილი.

მაქსიმოვს უამბნია: ძველად სარბენ დისტანციაზე შეჯიბრებული სპორტსმენების გაფიცხება და გაწიწმატება ზოგჯერ ისე შორს მიდიოდა, რომ წამოწეული მოთხილამურე ჯოხის წვეტით თხილამურსაც კი გაუხლეჩდა მეტოქეს, თუ კი ეს უკანასკნელი კვალს არ დაუთმობდა. ახლა ჩვენში ამისათვის მონაწილეს შეჯიბრებიდან ხსნიან.

ირინას ძახილში კი რაღაც მფარველი კილო გამოსჭვივოდა და ეს ყველაზე ძნელი მოსანელებელი იყო თავმოყვარე ქალიშვილისათვის. ირინას არც კი სურს თავი გაუტოლოს მარინეს, სერიოზულად გაეჯიბროს. ამას როგორ შეურიგდება მარინე? ამიტომ არ მოუხედავს უკან, გაკერპებული მისდევდა სათხილამურო კვალს.

— მიდი, მიდი, მარინე, ძალიან კარგი დრო გაქვს, — მიაძახა ჭიკჭიკამ, რომელიც მისკენ გამოიჭრა. ხელში რამდენიმე ცალი ნახევრად გაფცქვნილი მანდარინი ეჭირა და გზადაგზა აწოდებდა მარინეს.

— მარინე! კვალი დამითმე! — ისევ გაისმა ირინას ხმა.

მარინეს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ყურები უწიოდა. ფეხის კუნთებში წიწკნას გრძნობდა, მაგრამ მაინც უკანასკნელ ძალებს იკრებდა, ტემპს არ ანელებდა, უცებ მის კვალზე თხილამურის ცემის ხმა შეწყდა, მაგრამ იმავე წუთს მოისმა წაყინული, გაუტეხავი თოვლის ღრჭიალი, ეს ხმაური ახლა მხარდამხარ მოსდევდა. სუნთქვა შეკრულმა მარინემ მარცხნივ მიიხედა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ჩანს ირინამ იმედი დაჰკარგა, რომ მარინე კვალს დაუთმობდა. იგი ღრმა, გაუტეხავ თოვლში გადასულიყო, მაინც ალერსიანად შემოსცინა მარინეს. თითქოს ეუბნებოდა: „მალე ნახვამდისო“. მარინე უკვე აღმართის ბოლოს იყო მიღწეული. ფიჭვებს იქით ფრიალო ფერდობი იწყებოდა, რომელიც ფინიშამდე მისდევდა. აქ, მოსახვევში მარინე სწრაფად შემობრუნდა, რომ ირინას მისთვის წინ არ გადაესწრო, მაგრამ მძაფრი შემობრუნებისას ცალი თხილამური დაუსხლტა, წონასწორობა დაჰკარგა და დაეცა. დიდი სისწრაფისაგან იგი რამდენჯერმე გადატრიალდა და უცებ ერთი თხილამური ღრმად ჩაერჭო თოვლში, ჭახანით გადატყდა. ამ ხმამ ტანში შეჰზარა. უიმისოდაც დაღლილი, ქანცგაწყვეტილი იყო, ახლა კი სულ მოწყდა, მოეშვა, წამოდგომის თავიც აღარ ჰქონდა, ისე იყო გვერდზე მიწოლილი, ნახევრად თოვლში ჩაფლული, აღარც კი ახსოვდა, თუ როგორ დაეშვა ზეგანზე, როგორ გაუსხლტა თხილამურები, მხოლოდ ეს ჩარჩა მეხსიერებაში, ჩაუქროლა ირინამ გვერდით და დათოვლილ ფიჭვებს შორის მისი ოქროსფერი კულულებით შემოგარსული ნაბდის ქუდი გამოკრთა.

თვალი რომ გაახილა, დაინახა რომ მკლავზე წითელბაბთადაკრული კონტროლიორი და ჭიკჭიკა ადგნენ თავს. საიდანღაც შალვა გაჩნდა.

— როგორ ხარ, მარინე, ხომ არაფერი იტკინე? — შეშფოთებულად ჩაეკითხა შალვა და ხელი გაუწოდა. მაგრამ მარინემ, თითქოს ებუტებაო, მოსაშველებლად გამოწვდილი ხელი არ მიიღო, ჯოხებს დაეყრდნო და ისე წამოდგა ზეზე. მის გარშემომყოფთ თითქოს არც კი ამჩნევდა, გარინდებული მისჩერებოდა გადამტვრეულ თხილამურს. ახლა ამ თხილამურებით რბენა კი არა, სიარულიც არ შეიძლებოდა! იგი უბრალო ფიცარი იყო, სპორტულ აზარტით ატანილი შალვა კი მკლავზე ხელს ავლებდა, ემუდარებოდა:

— თუ არაფერი დაგიშავდა, ფეხით მაინც მიდი ფინიშთან, ხედავ რამდენი მოდის შენს უკან?

ჭიკჭიკა ისე გულმოდგინედ უბერტყავდა მარინეს ტანისამოსზე მიკრულ თოვლს, თითქოს ეს ყოფილიყოს ახლა მთავარი. თან შალვას ნათქვამს აქილიკებდა:

— წადი მარინე, ბოლოდან პირველი მაინც იქნები! — თავის ჩვეულებისამებრ ყველაფერს სამასხროდ ხდიდა, აბიაბრუებდა, მაგრამ მარინეს გულმოკლულ სახეს რომ შეხედა, გასამხნევებლად შემოუძახა:

— კარგი ერთი შენც, რა მოხდა ასეთი! ისე ჩამოგტირის თავპირი, თითქოს მიცვალებული გედის წინ, არაფერია, ეგ, არაფერი, ვაი სული, მამიდაშენს დაანახვა ახლა შენი თავი!

შალვა კი კვლავ აქეზებდა:

— აბა, დაიძარ, ფეხით მაინც წადი.

მარინე კვლავ რეტდასხმულივით იდგა. სოკოლოვა ახლა ალბათ მოზეიმე სახით უახლოვდება ფინიშს. როგორ ქარივით ჩაუქროლა გვერდში, არც კი მოუხედავს, ალბათ აღარც კი აგონდება მარინე, ასე უმწეოდ რომ დგას ფერდობზე გატეხილი თხილამურის ამარა.

— ახია ჩემზე. რომ არ გავჯიუტებულიყავი, სათხილამურო კვალი დამეთმო ირინასათვის, ეს მარცხი ხომ არ მომივიდოდა!

ამ ფიქრებში წასულს ისევ ჩაესმა ხშირი, აჩქარებული ნაბიჯების ხმა.

ხომ არ მოეჩვენა?

— მარინე! — თითქოს ბურანში წასულს შემოესმა ეს ნაცნობი ხმა და ფიჭვებს შორის გამოჩნდა ირინა, შორიდანვე შემოსძახოდა.

— მარინე, რა მოგივიდა? — სუნთქვაშეკრული, სახეაფაკლებული მოიჭრა ის მარინესთან, — ხომ არაფერი დაიშავე? — მკლავზე და ტანზე ხელი მოავლო, სინჯავდა, დაცემისას ხომ არაფერი დაუზიანდაო. მხოლოდ ახლა მოხვდა თვალში გადამტვრეული თხილამური, რომელსაც მარინე უმწეოდ ატრიალებდა ხელში.

— ამან დაგაღონა? — თავისებურად მხნედ წამოიძახა მან. — ეგ რა უნდა იყოს! ჩემს თხილამურს მოგცემ. კიდევ კარგ ადგილზე გამოხვალ, — მარინეს დასტურს არ დაუცადა, დაიხარა და გაჩქარებულად დაიწყო ფეხსაცმელის გახდა. ამ ფაციფუცში თასმა გაუწყდა. განასკვა, ბოლოებს კბილით აკვნეტდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მის პირად წარმატებას შეეხებოდა საქმე.

— რას უცდი, ფეხსაცმელი გაიხადე! ჩემები ჩაიცვი!

— გაიხადე ფეხსაცმელი, გაიხადე! — კვერს უკრავდა შალვა.

ამ დროს აღმართზე გამოჩნდა ერთი მეორის კვალზე მიმავალი: ანტონინა სერგეევნა და პირბადრი ვალია პოტაპოვა. ბულანოვას, როგორც ყოველთვის შეჯიბრების დროს საშინელი დაძაბულობა ემჩნეოდა სახეზე, მძიმე სუნთქვას შორიდანვე გაიგონებდა კაცი. სახე გაკერპებული, ტუჩებზე კბილდაჭდობილი მოიწევდა აღმართში. პოტაპოვა და ბულანოვა ისე შემოიჭრნენ მარინეს გარშემო შეჯგუფულ ახალგაზრდების წრეში, რომ ამ უკანასკნელთ სათხილამურო კვალის განთავისუფლებაც ვერ მოასწრეს. ბულანოვა კინაღამ შეელეწა ფეხსაცმელის გასახდელად ჩაცუცქულ ირინას. ერთი კი მიაძახა შეუჩერებლად:

— „ირა, რა მოხდა?“ მძაფრად შებრუნდა ყამირ თოვლში და სწრაფად დაეშვა ფერდობზე. პოტაპოვაც მიჰყვა მას. ირინამ თვალი გააყოლა თავის მეტოქეს და ისევ მარინეს მიუბრუნდა:

— აბა, ჩაიცვი, ჩქარა! — გულმხურვალედ არწმუნებდა მოსკოველი ქალიშვილი, რომელსაც ცალი წინდიანი ფეხი ედგა თოვლზე.

თოვლზე დადგმული ეს ჭრელი წინდა მოხვდა თვალში მარინეს და ალბათ ამან გამოიყვანა გარინდებიდან.

— ირა გაცივდები! — შეშფოთებულად წამოიძახა მან.

ახლა შალვამაც შენიშნა, რომ ირინა წინდებით იდგა თოვლზე. საჩქაროდ ჯუბა გაიხადა და ფეხქვეშ გაუფინა ქალიშვილს.

მაინც რა საოცრად უხდება ირინას შალვას მიერ ნაჩუქარი ქუდი! და მარინეს კვლავ ეჩვენება, რომ ირინას ლაჟვარდოვან თვალებში ახლა თანაგრძნობა კი არა, გამარჯვების სიხარული უციალებს. თითქოს გრძნობათა ჭიდილშიც გამარჯვებული გამოვიდა. რა ლაღად დადგა შალვას ჯუბაზე წინდიანი ფეხი. მარინე თითქოს მის მაგივრად აიტანა სიცივემ. შალვას გული დაუსერა მარინეს უმწეო გამომეტყველებამ, თან ფინიშისკენ ეშურებოდა, უნდოდა გაეგო, თუ ვის დარჩა პირველობა. მარინესაც აჩქარებდა, — დავიძრათო. მაგრამ მისმა სიყრმის მეგობარმა ჯიუტად გაიქნია თავი. ირას მიერ მოწოდებულ თხილამურიან ფეხსაცმლისაკენ ხელიც არ გაუწვდენია.

მხოლოდ ეს უთხრა გულჩაწყვეტილად: „ჩაიცვი ჩქარა, არ გაცივდე!“. ირინა ერთხანს სახტად იდგა. მერე საჩქაროდ ჩაიცვა ფეხსაცმელი და ფერდობზე დაეშვა. შალვაც მხარდამხარ გაჰყვა გაუკვალავ თოვლს.

მარინე კი კვლავ ერთ ადგილას იდგა. ჭიკჭიკა ცდილობდა ენუგეშებია, მაგრამ ქალიშვილი ყურს არ უგდებდა: საკუთარ ფიქრთა დინას მისდევდა, თავისთავს უსაყვედურებდა: რატომ გამოვიდა დღევანდელ შეჯიბრებაში... კიდევ უფრო უმღვრევდა გუნებას იმის მოგონება, რომ ირინას მიერ გამოწვდილი დახმარების ხელი არ მიიღო.

„რა საჩქაროდ გაიხადა ფეხსაცმელი. მე კი ასე გულცივად მოვეპყარი. მაგრამ რად უნდა მიმეღო მოწყალება?“ — ცდილობდა თავის ქცევისათვის რაიმე გამართლება მოეძებნა. გრძნობდა რომ უმართებულოდ მოიქცა.

თავაზიანობა არ გამოვიჩინე ამ სიშორიდან ჩამოსული სტუმრის მიმართ.—უსაყვედურებდა თავის თავს.

ახლა ვერ გაერკვია, რა უფრო უმძიმებდა გულს, შეჯიბრებაში დამარცხება, თუ ეს არათავაზიანი მოპყრობა ირინასადმი.

ბაკურიანის თვალწარმტაცმა ბუნებამ, ცხრაწყაროს დათოვლილმა უღელტეხილმა, შეჭირხლულმა ფიჭვისა და წიფლის ტყეებმა, თხილამურებზე შემდგარი ახალგაზრდობისაგან აჟრიამულებულმა კოხტა გორამ ერთბაშად დაჰკარგეს მიმზიდველობა მარინეს თვალში.

ცას ღრუბლები გადაეკრა და ნელნელა წამოვიდა მსხვილი, „ფოთლიანი“ თოვლი.

შალვა კი სულ აღარ ფიქრობს მარინეზე, სპორტის აზარტს აუტანია, თუ? ახლაც მარტო მიატოვა გადამტვრეული თხილამურების ანაბარა... მაგრამ მარინე რამ მიაჯაჭვა აქ, ერთხანს ასე უძრავად იდგა, გულში იდუმალი იმედი ჰქონდა, რომ შალვა დაბრუნდებოდა, მაგრამ ჭიკჭიკა აჩქარებდა:

— რას ვდგევართ ამ თოვლში, წავიდეთ, ველარ ხედავ ბინდდება!

მარინემ როგორც იყო ძალა მოიკრიბა და ჭიკჭიკასთან ერთად დაიძრა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3.89.62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.34, მორიგისა და გამომშვების — 3.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 00180